

## ინტერნეტბანკით საბანკო ოპერაციების წარმოების პირობები

### 1. ზოგადი პირობები

- 1.1. სს „ვითიზი ბანკი ჯორჯია“ (შემდგომ „ბანკი“) წინამდებარე პირობებით განსაზღვრული შეზღუდვების/წინაპირობების გათვალისწინებით, კლიენტს აძლევს შესაძლებლობას, კლიენტის ანგარიშებზე საბანკო ოპერაციები განახორციელოს დისტანციურად, კერძოდ ინტერნეტბანკის საშუალებით.
- 1.2. კლიენტს უფლება აქვს ინტერნეტბანკით მოახდინოს კომუნიკაცია ბანკთან. აღნიშნული სახით კომუნიკაციას გააჩნია იურიდიული ძალა და ითვლება მხარის მიერ სამართლებრივი ნების გამოვლენად, გარდა წინამდებარე პირობებით, წინამდებარე პირობების 2.8 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ხელშეკრულებებით ან კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.
- 1.3. წინამდებარე პირობებით განსაზღვრული კლიენტის ვალდებულებები, მათ შორის, წინამდებარე პირობების 2.7 პუნქტით გათვალისწინებული „ინტერნეტბანკის გამოყენების ინსტრუქცია“, სრულად ვრცელდება ავტორიზებულ პირებზე (მომხმარებლებზე).
- 1.4. გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა – [www.nbg.gov.ge/cp](http://www.nbg.gov.ge/cp) და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

### 2. ინტერნეტბანკით სარგებლობის ძირითადი დებულებები

- 2.1. ინტერნეტბანკით ოპერაციების განხორციელების უფლება აქვს ავტორიზებულ პირს (მომხმარებელი). ავტორიზებული პირ(ები) განისაზღვრება კლიენტის მიერ ინტერნეტბანკის რეგისტრაციაზე განაცხადით (შემდგომ „განაცხადი“) ან ინტერნეტბანკის შესაბამისი ფუნქციონალის საშუალებით.
- 2.2. ავტორიზებული პირი ოპერაციებს აწარმოებს ინტერნეტბანკში დაშვების შემდეგ. დაშვება ხორციელდება ბმულ <https://beta.vtb.ge> გამოყენებით, მომხმარებლის სახელით, პაროლით და ერთჯერადი კოდით (SMS (OTP) ან DigiPass (OTP) კოდით). პაროლის ცვლილება სავალდებულოა განხორციელდეს ინტერნეტბანკში პირველად შესვლის შემდეგ, მომხმარებლის სახელის ცვლილება შესაძლებელია ავტორიზებული პირის სურვილის შესაბამისად, ხოლო ერთჯერადი კოდი გენერირდება ინტერნეტბანკში ყოველი შესვლისას.
- 2.3. მომხმარებლის პირველადი ერთჯერადი პაროლი ავტორიზებულ პირს ეგზავნება ინტერნეტბანკში დაფიქსირებულ მობილურის ნომერზე სმს შეტყობინების სახით.
- 2.4. საბანკო ოპერაციის განხორციელებისათვის, ავტორიზებული პირის მიერ, ინტერნეტბანკის მეშვეობით, ხდება შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტის/შეტყობინების გენერირება, რომელსაც გააჩნია ქაღალდის მატარებელზე შესრულებული დოკუმენტის ტოლფასი იურიდიული ძალა.
- 2.5. კლიენტის მიერ განსაზღვრული „ხელმოწერის სქემა“ გულისხმობს ხელმოწერას (დასტურს) დაქვემდებარებულ ოპერაციაზე ინტერნეტბანკის სისტემაში შექმნილი დოკუმენტის შესაბამისი პირების მიერ დადასტურების სავალდებულობას.
- 2.6. ოპერაციის განხორციელებისათვის საჭიროა ოპერაციის დადასტურება SMS (OTP) ან DigiPass (OTP) კოდით. ოპერაციები, რომელთა განხორციელებას არ ესაჭიროება დადასტურება, განისაზღვრება ბანკის მიერ. ოპერაციის დადასტურების მიზნით, საჭირო ერთჯერადი კოდი იგზავნება ავტორიზებული პირის DigiPass -ზე ან ინტერნეტბანკში დაფიქსირებულ ტელეფონის ნომერზე. ერთჯერადი სმს კოდის გაგზავნა ხდება მხოლოდ საქართველოში მოქმედი ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორების ნომრებზე.
- 2.7. საბანკო ოპერაციათა ჩამონათვალი, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია ინტერნეტბანკით, ოპერაციათა განხორციელების წესი/ინტერნეტბანკით სარგებლობის პირობები/შეზღუდვები, წინაპირობები და უსაფრთხოების წესები (შემდგომ „ინტერნეტბანკის გამოყენების ინსტრუქცია“) განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე <https://vtb.ge>. ინტერნეტბანკის გამოყენების ინსტრუქცია წარმოადგენს წინამდებარე პირობების არსებით შემადგენელ ნაწილს. ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად შეცვალოს ინტერნეტბანკის გამოყენების ინსტრუქცია და შეცვლილი სახით განათავსოს ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

2.8. წინამდებარე პირობების გარდა, მხარეთა ურთიერთობები დაკავშირებული საბანკო ოპერაციების განხორციელებასთან (ტარიფები, წინაპირობები და ა.შ.), რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით და მხარეებს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებებით.

2.9. ინტერნეტბანკის ტარიფები განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე <https://vtb.ge>.

2.10. ავტორიზებულ პირს ოპერაციების განხორციელების შესახებ შესაბამისი დოკუმენტის ფორმირება და დადასტურება შეუძლია ნებისმიერ კალენდარულ დღეს, 24 საათის განმავლობაში, ხოლო ბანკის მიერ ოპერაციის შესახებ დავალება შესრულდება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით, ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებითა და კლიენტთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.

2.11. უსაფრთხოების მიზნით, ავტორიზებული პირის მიერ, ხშირად უნდა განხორციელდეს პაროლის ცვლილება და არ უნდა განხორციელდეს „სისტემის რეკვიზიტების“ (მომხმარებლის სახელი და პაროლი), ერთჯერადი კოდის გამჟღავნება მესამე პირისათვის.

### 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა

#### 3.1. ბანკი უფლებამოსილია:

3.1.1. გააუმჯობესოს მომსახურება, შეცვალოს მომსახურების მახასიათებლები.

3.1.2. კლიენტის ოპერაციებზე (გადარიცხვები, კონვერტაციები და ა. შ) ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები და დაადგინოს ასეთი ოპერაციების ზღვრული დასაშვები ოდენობები ან მოცულობები (ერთჯერადი გადარიცხვის მაქსიმალური თანხა, გარკვეულ პერიოდში ჯამურად გადასარიცხი თანხის მაქსიმალური ოდენობა, გადარიცხვების მაქსიმალური რაოდენობა და ა.შ), შეზღუდოს გადარიცხვების ვალუტა. აღნიშნული შეზღუდვების შესახებ კლიენტისათვის ცნობილი გახდება უშუალოდ ოპერაციის განხორციელებისას ან/და ინფორმირება განხორციელდება ბანკის მიერ არჩეული წესით.

3.1.3. ოპერაციის განხორციელებისათვის კლიენტს მოსთხოვოს კანონმდებლობით/ბანკის შიდამარეგლამენტირებელი წესებით გათვალისწინებული დოკუმენტი და აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენლობის შემთხვევაში არ მისცეს ოპერაციის განხორციელების უფლება.

3.1.4. უსაფრთხოების მიზნებისთვის, გარკვეული პერიოდულობით მოითხოვოს პაროლის ცვლილება (პაროლის სირთულესთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინებით), რის საფუძველზეც, აღნიშნული ცვლილება უნდა განხორციელდეს ბანკის მიერ მოთხოვნილი პერიოდულობით და პირობით.

3.1.5. წინასწარი შეტყობინების და გაფრთხილების გარეშე, სრულად ან ნაწილობრივ შეზღუდოს/შეწყვიტოს ინტერნეტბანკით სარგებლობის უფლება: [ა] თუ ბანკს გაუჩნდება ეჭვი კლიენტის ერთი ან რამდენიმე ტრანზაქციის კანონიერებასთან დაკავშირებით; [ბ] თუ ბანკისთვის ცნობილი გახდება ან არსებობს ეჭვი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, ტერორიზმის დაფინანსებაში ან სხვა სახის სავარაუდო დანაშაულში კლიენტის, მისი წარმომადგენლის, ბენეფიციარი მესაკუთრის, კლიენტთან დაკავშირებული სხვა პირის, ან ავტორიზებული პირის შესაძლო მონაწილეობის შესახებ; [გ] კლიენტის/წარმომადგებლობითი უფლებამოსილების მქონე პირის/ავტორიზებული პირის ქმედებით/უმოქმედობით ბანკისათვის მოსალოდნელი შესაძლო რისკის შემთხვევაში; [დ] თუ ბანკში წარდგენილი არ იქნება: [1] კლიენტის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია, მათ შორის ბანკის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტები კლიენტის, კლიენტის კონტროლის და მფლობელობის სტრუქტურაში შემავალი პირ(ებ)ის, ბენეფიციარ(ებ)ის, კონტრაგენტ(ებ)ის, ავტორიზებული პირის, გარიგებ(ებ)ის შესახებ; [2] ინფორმაცია და დოკუმენტები, რომელიც აუცილებელია ანგარიშზე ოპერაციების ჩასატარებლად; [3] ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ბანკის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი [მათ შორის ტრანზაქციებთან დაკავშირებული] დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია; [4] ბანკისათვის წარდგენილ მონაცემებში/ინფორმაციაში ან/და ბანკისათვის მიწოდებულ კლიენტის წარმომადგებლობითი უფლებამოსილების მქონე პირის/ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი/ავტორიზებული პირის პერსონალურ მონაცემებში ცვლილებები და ამ ცვლილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია; [5] ინფორმაცია იმ პირების ცვლილების შესახებ, რომლებიც უფლებამოსილი არიან განკარგონ ანგარიში, ან მიიღონ ინფორმაცია ანგარიშის შესახებ; [6] კლიენტის წარმომადგებლობითი უფლებამოსილების მქონე პირის/ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი/ავტორიზებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოქმედების ვადის გასვლისას, მოქმედი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; [ე] ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულებისა ან კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში კლიენტის ანგარიშის დახურვის შემთხვევაში; [ვ] ბანკთან გაფორმებული რომელიმე ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3.1.6. ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები ტარიფებში და აღნიშნული ცვლილებები განთავსოს ბანკის ვებ გვერდზე.

3.1.7. წინამდებარე პირობებში ან ტარიფებში განხორციელებულ ცვლილებებზე კლიენტის უარის შემთხვევაში, ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, კლიენტის გაფრთხილების გარეშე, შეუწყვიტოს კლიენტს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მომსახურება.

**3.2. ბანკი ვალდებულია:**

- 3.2.1. ავტორიზებული პირის მიერ ინტერნეტბანკის სისტემაში შესვლის შემდეგ, უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშებზე, გადარიცხვებსა და დისტანციური საბანკო მომსახურების სისტემაში არსებულ სხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობა.
- 3.2.2. უზრუნველყოს ცვლილებების და სიახლეების შესახებ ინფორმაციის განთავსება ბანკის ვებ გვერდზე (გარდა წინამდებარე პირობებით განსაზღვრული შემთხვევებისა).
- 3.2.3. ტექნიკური შეფერხების შემთხვევაში, ბანკისათვის მისაღები ფორმით (მათ შორის კლიენტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით), აცნობოს კლიენტს აღნიშნულის თაობაზე.
- 3.2.4. კლიენტის მიერ ინტერნეტბანკით განხორციელებულ მომართვაზე პასუხი გასცეს აღნიშნული მომართვის განხორციელებიდან არაუგვიანეს 2 საბანკო დღისა ბანკის მიერ არჩეული წესით.
- 3.3. კლიენტი ვალდებულია:
  - 3.3.1. დარწმუნდეს, რომ დაუკავშირდა ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდს და სისტემაში შესვლისას შეამოწმოს თავისი მონაცემების სისწორე.
  - 3.3.2. მკაცრად დაიცვას უსაფრთხოების პირობები.
  - 3.3.3. ბანკის მოთხოვნის შესაბამისად, წარმოადგინოს ოპერაციის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტის დედანი ან ინტერნეტბანკის მეშვეობით-ასლი.
  - 3.3.4. დაიცვას და იხელმძღვანელოს ინტერნეტბანკის გამოყენების ინსტრუქციით.
  - 3.3.5. გააცნოს ავტორიზებულ პირს წინამდებარე პირობები (მათ შორის ინტერნეტბანკის გამოყენების ინსტრუქცია) და მათში განხორციელებული ცვლილებები.

**3.4 კლიენტი უფლებამოსილია:**

- 3.4.1. საბარათე ანგარიშზე ბარათით ან მისი რეკვიზიტების გამოყენებით არაავტორიზებული ოპერაციის შესრულების თარიღიდან 45 კალენდარული დღის ვადაში, წერილობით, ინტერნეტბანკის, ვიდეობანკის ან კონტაქტცენტრში (\*2424/ (995 32) 224 24 24) ზარის განხორციელების გზით გაასაჩივროს აღნიშნული ოპერაცია. აღნიშნულ ვადაში პრეტენზიის განუცხადებლობის შემთხვევაში, ტრანზაქცია ითვლება დადასტურებულად და შემდგომ გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება. ამასთან, კლიენტი/ავტორიზებული პირი ვალდებულია ბანკს წარუდგინოს დოკუმენტები, რომლებსაც ბანკი მოითხოვს საჩივრის განხილვის მიზნით.
- 3.4.2. Digipass დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში ბანკისათვის მომართვის და შესაბამისი ღირებულების გადახდის შემდეგ მიიღოს ახალი მოწყობილობა.
- 3.4.3. განახორციელოს ავტორიზებული პირების, მათზე მინიჭებული ლიმიტების ან სხვა მინიჭებული უფლებების ცვლილება.

**3.5. ბანკი არ არის პასუხისმგებელი:**

- 3.5.1. კლიენტის ტექნიკური საშუალებების/ინტერნეტ კავშირის გაუმართავობით ან ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით გამოწვეულ ოპერაციების ჩატარების შეუძლებლობის შემთხვევებზე. მათ შორის, ისეთ შემთხვევებზე, რომლებიც გამოწვეულია:
  - 3.5.1.1 მიმღები ან შუამავალი ბანკის ნებისმიერი ქმედებით ან/და შეცდომით, ან ბანკისაგან დამოუკიდებელი ნებისმიერი სხვა მიზეზით;
  - 3.5.1.2 იმ სახელმწიფოზე, რომლის ტერიტორიაზეც მოქმედებს თანხის მიმღების (ადრესატის) მომსახურე ბანკი ვრცელდება ემბარგო ან/და სხვა რაიმე შეზღუდვა, რაც აფერხებს ადრესატის მიერ თანხის მიღებას;
  - 3.5.1.3 საკორესპონდენტო ბანკი (რომლის მეშვეობითაც სრულდება გადარიცხვა) უარს განაცხადებს ოპერაციის შესრულებაზე ან/და მოხდება გადასარიცხი თანხის დაკავება/ზლოკირება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის ან/და სხვა მიზნით;
- 3.5.2 შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია:
  - 3.5.2.1 კლიენტის დავალებით ოპერაციის განხორციელებით;
  - 3.5.2.2 კლიენტის ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ტელეფონის ან/და სხვა მოწყობილობისა თუ აღჭურვილობის (მათი რომელიმე ნაწილის ან/და აქსესუარის) ან/და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართავობით;
  - 3.5.2.3 ტელეკომუნიკაციების ოპერატორის, ინტერნეტ-პროვაიდერის ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიზეზით;
  - 3.5.2.4 კლიენტის მიერ განაცხადის ან/და განცხადების არასწორი, არასრულყოფილი ან მცდარის მონაცემებით შევსებით ან/და ინტერნეტბანკის საშუალებით გადარიცხვისას არასწორი რეკვიზიტების გამოყენებით;
  - 3.5.2.5 კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაციის უსწორობით ან/და უზუსტობით;

- 3.5.2.6 კლიენტის მიერ წინამდებარე პირობებით ან რომელიმე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;
- 3.5.2.7. ბანკის მიერ გაცემული რეკომენდაციების კლიენტის/ავტორიზებული პირის მიერ შეუსრულებლობით;
- 3.5.2.8. კლიენტის მიერ ბანკისათვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით.
- 3.5.3. უსაფრთხოების პირობების დარღვევის შედეგად განხორციელებულ ოპერაციებზე ან/და გამჟღავნებულ საბანკო საიდუმლოებაზე.

#### 4. დასკვნითი დებულებები

- 4.1. ნებისმიერი დავა, გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან, ამ ხელშეკრულების საფუძველზე და ფარგლებში დადებული კონკრეტული ხელშეკრულებიდან და მათთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან (მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან), ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას“ (საიდენტიფიკაციო N205267389), რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანუღირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟისაქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას.
- 4.2. მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპოდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპოდენცია (მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.) ჩაითვლება ჩაბარებულად (შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით).
- 4.3. ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ინტერნეტბანკით საბანკო ოპერაციების წარმოების ხელშეკრულება მეორე მხარისათვის 30 კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე. ბანკის მიერ აღნიშნული ვადის დაცვა არ ხორციელდება, თუ ინტერნეტბანკის მომსახურების ბანკის მიერ კლიენტისათვის შეწყვეტა განხორციელდება დაუყოვნებლივ წინამდებარე პირობებისა, ბანკთან გაფორმებული სხვა ხელშეკრულების ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
- 4.4. წინამდებარე პირობებში/ტარიფებში ცვლილების შეტანა ხორციელდება აღნიშნულის შესახებ კლიენტისათვის კლიენტის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე ან ელექტონული ფოსტის მისამართზე შესაბამისი შეტყობინების ან ინტერნეტბანკის საშუალებით შეტყობინების გაგზავნის გზით. ცვლილება ძალაში შედის: (ა) შეტყობინების გაგზავნიდან ერთი თვის შემდეგ, თუ კლიენტი, შეთავაზებულ პირობებზე, ცვლილების ამოქმედებამდე არ განაცხადებს უარს; (ბ) თუ წინამდებარე პირობებით განსაზღვრულ მომსახურებაზე განსხვავებული ტარიფები მოქმედება კლიენტის მიერ რაიმე ვალდებულების შესრულების პირობით/რაიმე პირობის/გარემოების სანაცვლოდ და ეს ვალდებულება/პირობა/გარემოება არ შესრულდა/გაქარწყლდა, მაშინ აღნიშნული ტარიფის ცვლილების ძალაში შესვლაზე არ მოქმედებს წინასწარი შეტყობინების ვალდებულება. ბანკის მიერ კლიენტის შეტყობინების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ხორციელდება მომსახურების პირობის/ტარიფის ოდენობის ცვლილება კლიენტის სასარგებლოდ. ასევე, კლიენტის შეტყობინების ვალდებულება არ მოქმედებს „ინტერნეტბანკის გამოყენების ინსტრუქციაში ცვლილების შეტანის ან წინამდებარე პირობების 3.1.2 ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაზე. კლიენტი ადასტურებს, რომ ბანკის მიერ წინამდებარე პირობებით განსაზღვრული შეტყობინების ვალდებულება შესრულებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ კლიენტთან დაკავშირება/მისთვის ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება კლიენტის ბრალეულობით და/ან კლიენტმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია და ამის შესახებ არ უცნობებია ბანკისათვის;
- 4.5. ინტერნეტბანკით საბანკო ოპერაციების წარმოების ხელშეკრულების ფარგლებში, მხარეთა შორის ურთიერთობა/კომუნიკაცია განხორციელდება ქართულ ენაზე, თუ მხარეთა შეთანხმებით, სხვა რამ არ არის განსაზღვრული. კომუნიკაცია ხორციელდება წერილობით ან ტელეფონის ნომერზე ან ელექტონული ფოსტის მისამართზე შესაბამისი შეტყობინების ან ინტერნეტბანკის საშუალებით შეტყობინების გაგზავნის გზით;
- 4.6. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საიდენტიფიკაციო კოდია 202906427, საბანკო საქმიანობის ლიცენზია N226ა;
- 4.7. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სახელმძღვანელო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2).